საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი
თანადგომა

საქართველო, თბილისი, 0179
ჭავჭავაძის გამზირი 44, P.O. Box 241
ტელეფონი/ფაქსი: (+955 32) 352132,
E-mail: center@tanadgoma.ge
www.tanadgoma.ge

თანადგომას გენდერული პოლიტიკა

თბილისი, 2009

- ✓ „თანადგომა“ აცნობიერებს, რომ გენდერული თანასწორობა სამართლიანი და ჰარმონიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი და დემოკრატიის არსებითი შემადგენელი ნაწილია.

- ✓ „თანადგომას“ სურვილი აქვს თავისი საქმიანობის სფეროში სათანადო წვლილი შეიტანოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საქმეში.

- ✓ საქმიანობის დაგეგმვისას „თანადგომა“ გაითვალისწინებს გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და შეეცდება, რომ განხორციელებული საქმიანობები გარკვეულწილად ეხმიანებოდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნულ პოლიტიკას.

- ✓ „თანადგომა“ მუდმივად გაითვალისწინებს გენდერულ სხვაობებს თავისი საქმიანობის სფეროში, კერძოდ კი ისეთი დაავადებების მიზეზებსა და შედეგებში, როგორიცაა აივ/შიდსი, სქესობრივი გზით გადამდები დავადებები და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვა დარღვევები.

- ✓ „თანადგომა“ ხელს უწყობს სექსუალური და რეპროდუქციული განათლების გარანტიის რეალიზებასა და ამ სფეროში პირადი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობების გაზრდას, როგორც მამაკაცების, ისე ქალებისათვის.

- ✓ „თანადგომა“ ძალისხმევას გასწევს გენდერული ძალადობის აღმოფხვრისა და მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების (ქუჩის მეძავები, ჰომოსექსუალები, პატიმრები) ძალადობის წინააღმდეგ გაძლიერებისათვის.

- ✓ „თანადგომა“ მუდმივად ხელს შეუწყობს ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარებას გენდერული ექსპერტიზის მიმართულებით, რადგან ფიქრობს, რომ გენდერული ანალიზის განხორციელება სქესთა შორის უთანასწორობის გამოვლენის, შეცნობისა და შემცირების საფუძველია.

- ✓ „თანადგომა“ თვლის, რომ პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში გენდერულად დაცალკავებული სტატისტიკის წარმოება, განსხვავებული სქესის ჯგუფების სპეციფიური საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი მიდგომების შემუშავება ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის ხარისხის ერთი-ერთი მაჩვენებელია.